საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

2023

10.10.2024
www.geostat.ge

10.10.2024

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი
(2023 წელი)

2023 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასულ წელთან შედარებით 14.5 პროცენტით (223.8 ლარით) გაიზარდა და 1 766.8 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2007-2023 წლებში.

დიაგრამა №1

საშუალო თვიური ხელფასი
(ლარი)



2023 წელს წინა წელთან შედარებით ხელფასების ზრდა თითქმის ყველა სექტორში დაფიქსირდა. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი იყო შემდეგ დარგებში:

• ინფორმაცია და კომუნიკაცია - 3 858.5 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 27.2 პროცენტით);

• საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა - 3 215.2 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 17.8 პროცენტით);

• პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 2 506.5 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9.7 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2022-2023 წლებში.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით
(ლარი)



2023 წელს ქალების საშუალო თვიური ხელფასი 1 425.4 ლარით, ხოლო კაცების - 2 099.8 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 177.7 ლარი (14.2 %) შეადგინა, ხოლო კაცებში - 272.9 ლარი (14.9%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების საშუალო თვიური ხელფასი ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების საშუალო თვიურ ხელფასს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით, 2007-2023 წლებში.

10.10.2024

დიაგრამა №3

საშუალო თვიური ხელფასი სქესის მიხედვით
(ლარი)



2023 წელს სახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 420.3 ლარით (22.0 %) ნაკლები იყო არასახელმწიფო სექტორში დაქირავებულებთან შედარებით. 2022 წელთან შედარებით სახელმწიფო სექტორში ხელფასი 15.7 პროცენტით, ხოლო არასახელმწიფო სექტორში 13.9 პროცენტით გაიზარდა და შესაბამისად 1 487.5 და 1 907.9 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში, 2007-2023 წლებში.

დიაგრამა №4

საშუალო თვიური ხელფასი სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში
(ლარი)



2023 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სამეწარმეო (ბიზნეს) სექტორში 221.4 ლარით (13.8%) გაიზარდა და 1 827.3 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი ინფორმაცია და კომუნიკაციის (3 958.3 ლარი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 27.1 პროცენტით), ასევე პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (2 813.9 ლარი, წინა წელთან შედარებით გაზრდილია 8.2 პროცენტით) დარგში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სამეწარმეო სექტორში, 2007-2023 წლებში.

10.10.2024

დიაგრამა №5

საშუალო თვიური ხელფასი სამეწარმეო სექტორში
(ლარი)



2023 წელს არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 226.0 ლარით (15.9%) და 1 649.6 ლარს შეადგენს. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის სფეროში დასაქმებულებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში 2007-2023 წლებში.

10.10.2024

დიაგრამა №6

საშუალო თვიური ხელფასი არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში
(ლარი)



საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვით რეგიონებში ლიდერობს ქ. თბილისი და მცხეთა-მთიანეთის რეგიონი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით, 2023 წელს.

10.10.2024

დიაგრამა №7

საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით*

(ლარი)



*ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია წარმოდგენილია სათაო ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით.

შენიშვნები

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2.

სექციების დასახელებები:

A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
F	მშენებლობა
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
H	ტრანსპორტი და დასაწყობება
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება
S	სხვა სახის მომსახურება

საკონტაქტო პირები:
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge